

ჩენჭეთი, რუსეთი. რუსეთის ფედერალური სასახლერო სამსახურის ცნობით, ჩენჭეთის მთიან რაიონში აღმოაჩინეს რამდენიმე ათეული მეტროპოლისაგან შემდგარი შეიარაღებული დაჯგუფება. წინასწარი ინფორმაციით, დაჯგუფება ბლოკირებულია რუსი სამხედროების მიერ.

წინააღმდეგობის და ჩენჭეთის საზღვარზე საბრძოლო იარაღისა და აღჭურვილობის დიდი სამალავი აღმოაჩინეს.

ლინცი, ავსტრია. ქალაქის ერთ-ერთ დისკოთეკაზე ხელყუმბარის აფეთქების შედეგად ოცზე მეტი ადამიანი დაიჭრა. აფეთქება ხალხით სავსე დარბაზში მოხდა. ავსტრიის პოლიციის ცნობით, ასაფეთქებელი მოწყობილობის ნაშენებლები უკვე ნაპოვნია. დისკოთეკა დიდი პოპულარობით სარგებლობდა იუგოსლავ იმიგრანტებს შორის.

ინდოეთი. ქერალის შტატში ბორანის გადამრუნების შემდეგ, დაახლოებით, 50 ადამიანი დაიხრჩო. წინასწარი მონაცემებით, ბორანი მგზავრებით იყო გადართული. მოსალოდნელია, რომ დაღუპულთა რიცხვი გაიზარდება, რადგან შემთხვევის ადგილზე მყოფმა მეთევზეებმა ბევრი ადამიანი ვერ გადაარჩინეს.

აფხაზეთი. თურქულ ფირმა "სარია-სა" და ვლადისლავ არძინას ბიძაშვილს, ლევან არძინას შორის მოხდა დაპირისპირება. საქმე ის გახლავთ, რომ ივლისის შუა რიცხვებში ფირმამ აფხაზეთში შეიტანა უაქციზო სიგარეტი, რომელიც კონკურენციას უწევს გუდაუთაში წარმოებულ სიგარეტს.

სანდო წყაროს ცნობით, კონფლიქტში ჩაერივნენ და მხარეები დაამოშინეს აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის წარმომადგენელმა, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ხეციაშ, გალში მოქმედი ტერორისტული დაჯგუფების ხელმძღვანელის, ვლადიმერ ბუთასა და, ასევე, ვლადისლავ არძინას ნათესავმა, ნუსუ არძინამ.

ლევან არძინა მოსკოვში გაემგზავრა, საიდანაც იგი ათი ბულგარული სპეციალისტის ჩამოყვანას აპირებს - გუდაუთის სიგარეტის ფაბრიკაში პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ საქმისთვის არძინა მოსკოვში 50 ათასი დოლარის ოდენობით სესხის აღებასაც ცდილობს. **"24 საათი."**

გალი. ამ დღეებში სოფელ ქუბურხინჯში, რუსეთის სამშვიდობო ძალების № 201-ე საგუშაგოზე შედგა მორიგი ოთხმხრივი შეხვედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სამშვიდობო ძალების შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი როოტი. რუსეთის სამშვიდობო ძალების სამხრეთისა და ჩრდილოეთის ზონის მეთაურებმა ვითარება უსაფრთხოების ზონაში შეაფასეს, როგორც მშვიდი. **"24 საათი."**

კოდორის ხეობა. გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის სარდლის მოადგილემ ივლისის თვეში კოდორის ხეობაში ჩატარებული პატრულირების შედეგები დადებითად შეაფასა. მან, ამასთანავე, აღნიშნა, რომ ნუბელის მიდამოებში გრძელდება აფხაზური საჯარისო ნაწილების გეგმიური წვრთნები. **"24 საათი."**

თბილისი. საქართველოში საერთაშორისო საავლუტო ფონდის მისიას პაოლო ნოიპაუსი უხელმძღვანელებს.

სავალუტო ფონდის მისიის ყოფილმა ხელმძღვანელმა, დევიდ ოუენმა თავისი შემცველი პარასკევს წარუდგინა საქართველოს პრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს.

პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრაზე ოუენმა აღნიშნა, რომ იგი სიამოვნებით თანამშრომლობდა საქართველოსთან და კმაყოფილია, რომ თავის საქმიანობას პოზიტიურ ნოტაზე ასრულებს, რაც დაკავშირებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებასთან - საქართველოსათვის მორიგი ტრანშის გამოყოფის თაობაზე, რომელსაც ქვეყანა სრულად წლის ბოლოსთვის მიიღებს.

დევიდ ოუენის შეფასებით, ეს გადაწყვეტილება ნიშნავს იმას, რომ ჯერ კიდევ არსებული პრობლემების მიუხედავად, საქართველომ აღიდგინა ამ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის ნდობა და იმედგამოთქვა, რომ ამგვარი დინამიკა ქვეყანაში აღარ შეწყდება.

სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭომ ცოტა ხნის წინ საქართველოს "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის" ფარგლებში, დაახლოებით, 30 მილიონი აშშ დოლარის კრედიტი გამოუყო.

"სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამა" 2001 წელს დამტკიცდა და დღემდე მის ფარგლებში საქართველოსათვის 36 მილიონი აშშ დოლარის კრედიტია გამოყოფილი. რაც შეეხება ცოტა ხნის წინ დამტკიცებულ ტრანშს, იგი საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშზე უახლოეს დღეებში ჩაირიცხება და მთლიანად საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შევსებას მოხმარდება. (პრაიმ-ნიუსი)

ტური. 2004 წელს იტალიური სამრეწველო ჯგუფი "ფიატი" ამერიკული საავტომობილო კონცერნის, "ჯენერალ მოტორის" გამგებლობაში გადავა, - იუწყება გაზეთი "ფაინანსშელ თაიმსი".

ამჟამად, "ჯენერალ მოტორის" "ფიატის" აქციების 20 პროცენტს ფლობს ამერიკული კონცერნის ხელმძღვანელობა არ გამოიციხავს დარჩენილი 80-პროცენტის აქციების შექმნასაც.

2002 წლის პირველ ნახევარში "ფიატის" ფინანსურმა დანაკარგებმა 429 მილიონი ევრო შეადგინა. კომპანიის ჯამური გალი 6,6 მილიარდ ევრო. "ფიატისა" და "ჯენერალ მოტორის" ვარიანტის დეტალები ჯერჯერობით უცნობია.





შელენა კრისტენსენი



ჰუი გრანტი და ელიზაბეტ ჰარლი

ელიზაბეტ ჰარლი რადილში მოექცა

"ოსტინ პაუერსის" ახალი ფილმი ნარმატებას ნარმატებაზე აღწევს. ვარსკვლავი მიკე მაიერსი ახალი რეგალიებით ივსება. თუმცა, ამ საზოგადო სიხარულს ვერ იზიარებს ელიზაბეტ ჰარლი. ევიზოდები, სადაც ჰარლი მონაწილეობდა ფილმიდან ამოქრეს. ზეგრმა შეიძლება არც იცოდეს, მაგრამ ბრიტანელი მოდელი და მსახიობი "ოსტინ პაუერსის" ახალ ფილმშიც იღებდა მონაწილეობას. თუმცა, ბოლოს რეჟისორმა გადაწყვიტა, რომ ჰარლის სცენები მაინცდამაინც სასაცილო არ იყო და არჩია, ფილმში მათ გარეშე გადაეღო. არადა, "ოსტინ პაუერსის" წინაორ ფილმში ელიზაბეტ ჰარლი ნარმატებით თამაშობდა სექსუალური და ვულგარული ვანესა კენსინგტონის როლს. მაშინ გადაღები ჯგუფი ჰარლის სამსახიობო ნიჭს ეჭვქვეშ არ აყენებდა. პრესის ვარაუდით, ამჯერად ჰუი გრანტის ყოფილი მეუღლე იმიტომ დაინუნეს, რომ მან პირადლე პრობლემებზე ამაღლება ვერ შეძლო. მშობიარობის შემდეგ ჰარლი საბოლოოდ დაშორდა სტივ ბინგს, რომელიც ჰარლის ვაჟის მამობაზეც ამბობდა უარს. თუმცა, მოგვიანებით ტესტირება ცხადყო, რომ დილანი მართლაც სტივ ბინგის შვილი იყო. ამ ფსიქოლოგიური სტრესების ფონზე ელიზაბეტ ჰარლი "ოსტინ პაუერსზე" კონცენტრირება ვერაფრით შეძლო და ამიტომაც გამოაკლდა ფილმის პრემიერის შემდეგ გამართულ საზოგადო მზიარებლებას.

შელენა - იდეალური არჩევანი

ცხადია, დანიელი სუპერმოდელი შელენა კრისტენსენი თავისი სამშობლოს სიამაყეა. ზაფხულიდან ის დანიელების სიამაყის კიდევ ერთ ობიექტს - ლუდს გაუწევს პოპულარიზაციას. კრისტენსენმა ხელი მოაწერა კონტრაქტს, რომლის მიხედვითაც ის ლუდის მწარმოებელი ფირმის, "კარლსბერგ ექსპორტის" სახე გახდა. ლუდის სარეკლამო კამპანის ფარგლებში კი ვეროპაში მალე გამოჩნდება ბილბორდები, რომელთა ბრიტანეთის მასშტაბით განათავსებენ. "კარლსბერგის" წარმომადგენლების განმარტებით, შელენა კრისტენსენი კომპანიისთვის იდეალური

არჩევანი იყო. "მისი დანიური წარმომავლობა მთლიანად გადმოსცემს ჩვენი ლუდის სულისკვთებას", - აცხადებენ "კარლსბერგის" ხელმძღვანელები. ამ აზრს ეთანხმება თავად სუპერმოდელიც, რომლის სარეკლამო ნათლობაც ინგლისელ ფეხბურთელთან გარი ლინკეერთან ერთად შედგა. მათ ერთად მიიღეს მონაწილეობა კომპანია Walkers-ის სარეკლამო კამპანიაში (ეს ფირმა საკვებ პროდუქტებს ამზადებს). შელენა კრისტენსენი ბრიტანეთში პოპულარულ სახედ სწორედ ამ სარეკლამო რგოლებით გახდა. "კარლსბერგის" მეცვეურებს იმედი აქვთ, რომ შელენა ლუდის პრიტანულ ფანებსა და დანიურ ლაგერსაც დააახლოვებს.

ტაიმ-აუტი შვილების გულსთვნი

პამელა ანდერსონი შოუბიზნესიდან მიდის, ოღონდ, არა სამუდამოდ. ხანგრძლივი შესვენების პერიოდში ის ჰეპატიტის მკურნალობას აპირებს. ამ გადაწყვეტილების შესახებ მსახიობმა ლარი კინგთან ინტერვიუში განაცხადა. "მკურნალობის პროცესს თან მრავალი გვერდითი ეფექტი სდევს. დაახლოებით მთელი წლის განმავლობაში მექენება სურბერგის" მეცვეურებს იმედი აქვთ, რომ შელენა ლუდის პრიტანულ ფანებსა და დანიურ ლაგერსაც დააახლოვებს.

ამას ჩემი შვილებისთვის გაეკეთებ. ჯერ სიკვდილი არ მინდა", - განმარტა ანდერსონმა. ცნობისთვის: პამელა ანდერსონის ჰეპატიტი ქმრისგან გადაედო. მან სვირინგისთვის გამოიყენა იგივე ნემსი, რომლითაც ტომი ილ ჯოსონმა ტაუტუ გაიკეთა. დაავადებული მსახიობი ექიმმა გააფრთხილა, რომ მკურნალობის ჩატარების შემთხვევაში მას ლეიშმანოზის კიბო განუვითარდებოდა. შოუბიზნესიდან დროებითი ტაიმ-აუტის აუტეხაც ანდერსონმა ამიტომ განაცხადა.

სკანდორდი

Table with multiple columns and rows containing text and images, including a picture of a car at the bottom left.

TV პროგრამა 28 ივლისი

Table listing TV programs and channels for the date 28 July, including channels like 'რუსთავი 2' and 'იმედი'.

პირველი არხი

Table listing TV programs on the first channel, including 'რუსთავი 2' and 'იმედი'.

მეორე არხი

Table listing TV programs on the second channel, including 'რუსთავი 2' and 'იმედი'.

იმედი

Table listing TV programs on the 'Imedi' channel, including 'რუსთავი 2' and 'იმედი'.

პირველი სტრეიტი

Table listing TV programs on the 'First Street' channel, including 'რუსთავი 2' and 'იმედი'.

კავკასია

Table listing TV programs on the 'Caucasia' channel, including 'რუსთავი 2' and 'იმედი'.

მეხსრე არხი

Table listing TV programs on the 'Mehsre' channel, including 'რუსთავი 2' and 'იმედი'.

წამალი "სალხინო" ქართული ფლორის სიმოსრება

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სახსქსო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდის დროს წვა, შარდსადანი სურელის ბაგევა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშინობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პროზაქსიზი მოზახსნებამთ. "სალხინო" ანესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმზადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლესისტისტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგვიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარქმევი ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბაგეშვის კვებას საკუთარი რძით. წამალი "სალხინოს" თვისებები აბრძობიერებსა და მოწონებულსა საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში. წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) ლოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.